# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

## განკარგულება № 140

8 მაისი 2015 წ

ქ. თბილისი

**ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სახელმწიფოსათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24–ე მუხლის პირველი ნაწილის „ე.ე“ ქვეპუნქტის, 108-ე მუხლისა და სსიპ “სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს” 2015 წლის 04 მაისის N-5/25322 წერილის შესაბამისად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. დაკმაყოფილდეს სსიპ “სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს” მოთხოვნა და სახელმწიფოს საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაეცეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება, მდებარე ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი N18-ში, I სართულზე არსებული 184,17კვმ არასაცხოვრებელი ფართი, საკადასტრო კოდი N01.10.14.009.005.01.506. შემდგომში, „ქართული ღვინის კულტურის ცენტრისთვის“ გადაცემის მიზნით.

2. განკარგულება ერთი თვის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე–12 კმ. №6).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი